ახალი
განთიადი

,,ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული,,

განთიადი

89-ე წელი თქვენთან ერთად!

2020 წელი 24 აგვისტო № 8 № 8161

ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

გილოცავთ მარიამობას!



გვ2.

12 წელი აგვისტოს ომიდან

გვ2.

ციხე-გალავნის რეაბილიტაცია

გვ3.

განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები

გვ2.

დახმარება 60 წელს გადაცილებულ სოციალურად დაუცველ მარტოხელა ხან-დაზმულებს

გვ3.

კარიერის დასახლებაში გზის მოწყობის სამუშაოები დაიწყო

გვ3.

გვ4.

ისევ სამშობლოს სიყვარულზე

ფესტივალი ,,არტგენი,, მე-17 წელი

გვ7.

შინდისელი გმირების ბოლო ფოტო

განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები

კასპის მუნიციპალიტეტში 2013 - 2019 წლებში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დახარჯულია 99 299 344 ლარი.

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, ხიდების მშენებლობა და რეაბილიტაცია 40 414 002 ლარი;

წყალარინების (კანალიზაცია) სისტემის მოწყობა - 3 326 352 ლარი;

კულტურის დაწესებულებების რეაბილიტაცია - 1 457 437 ლარი;

სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია - 2 579 033 ლარი;

სასკოლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, აშენება და აღჭურვა - 12 150 930 ლარი;

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია და აღჭურვა - 3 626 385 ლარი;

სასოფლო ამბულატორიების რეაბილიტაცია - 355 086 ლარი;

წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია, მშენებლობა - 13 625 519 ლარი;

სკვერების მოწყობა - 464 996 ლარი;

გაზიფიცირებულია მუნიციპალიტეტის 90% - 15 865 604 ლარი (სამუშაოები გაგრძელდება მუნიციპალიტეტის სრულ გაზიფიცირებამდე);

კორპუსების მშენებლობა - დევნილთა საცხოვრებელი კორპუსი - 4 500 000 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 934 000 ლარი.

მიმდინარე, 2020 წელს დღემდე განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე უკვე დახარჯულია 24 694 302 ლარი, რომელიც წლის ბოლომდე კიდევ გაიზრდება. ჯამში: 2013 წლიდან დღემდე სულ 123 993 646 ლარი.

12 წელი აგვისტოს ომიდან

8 აგვისტოს კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილეებმა გვირგვინებით შეამკეს ქალაქის ცენტრში მდებარე ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ გმირთა მემორიალი და პატივი მიაგეს მათ ხსოვნას.

მამა გიორგიმ გმირთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

ომმა 400 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის კასპიდან ოთხი ადამიანი დაიღუპა - გელა თიგიშვილი, კახა კოშაძე და სოსო ბეჟუაშვილი ბრძოლის ველზე, ხოლო კასპის დაბომბვისას რკინიგზის მეისრე მურაზ მერებაშვილი, რომელიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა.

ხელისუფლების წარმომადგენლები ყოფილ მებრძოლებთან ერთად სოფელ აღაიანში სოსო ბეჟუაშვილის და სოფელ კოდისწყაროში გელა თიგიშვილის საფლავებს მათი ხსოვნის პატივსაცემად ეწვივნენ.

თითოეული ჩვენგანის ვალია მათ ხსოვნას გავუფრთხილდეთ და მომავალ თაობებს მათი გმირობის ეპიზოდები ყოველთვის გადავცეთ.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

გამოიწერეთ გაზეთი ,,ახალი განთიადი,, გახდით ჩვენი მკითხველი!

დახმარება 60 წელს გადაცილებულ სოციალურად დაუცველ მარტოხელა ხანდაზმულებს

"საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების" პრეზიდენტი ნათია ლოლაძე და "გაეროს მოსახლეობის ფონდის" საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი ლელა ბაქრაძე კასპის მუნიციპალიტეტში იმყოფებოდნენ. ისინი მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს თამაზ ტატანაშვილს, მის მოადგილეს ზაზა მარიდაშვილს, წითელი ჯვრის პროექტის კასპის ადგილობრივ კოორდინატორს სალომე მუხიგულაშვილს და მოხალისეებს შეხვდნენ. შეხვედრის მიზანი "საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა" და "გაეროს მოსახლეობის ფონდის" საქართველოს ოფისის პარტნიორობით, კოვიდ 19-თან დაკავშირებულ გამოწვევებზე სოციალურ-ეკონომიკური რეაგირება და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობებია. პროგრამა ეხება ხანდაზმულთათვის სხვადასხვა სახის დახმარების, მომსახურების და ინფორმაციის მიწოდებას, მათ შორის ხანდაზმულ ასაკში კოვიდ 19-ის პრევენციასა და მასთან გამკლავებას.

"გაეროს მოსახლეობის ფონდის" მიერ გაწეული მნიშვნელოვანი მხარდაჭერით "წითელი ჯვრის საზოგადოებამ" სა-

სურსათო და ჰიგიენური ამანათები ჩამოიტანა და 60 წელს გადაცილებულ სოციალურად დაუცველ მარტოხელა ხანდაზმულებს დაურიგდებათ. ეს ღონისძიებები ხორციელდება გაეროს ერთობლივი პროგრამის "კოვიდ 19-ის შედეგებთან გამკლავება ადგილობრივ თემებში" ფარგლებში, რომელიც UN COVID -19 MPTF -ის მიერაა დაფინანსებული".

მხარეებმა მიმოიხილეს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობები, რომლებიც ეხება ხანდაზმულთათვის სხვადასხვა სახის დახმარების, მომსახურების და ინფორმაციის მიწოდებას, მათ შორის ხანდაზმულ ასაკში კოვიდ-19-ის პრევენციისა და მასთან გამკლავების გზებს. "საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასა" და კასპის მუნიციპალიტეტის მერიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მიმდინარე წლის ივლისის თვეში გაფორმდა.

ნათია ლოლაძემ, ლელა ბაქრაძემ და თამარ სახლთხუციშვილმა (საზოგადოების ვიცე პრეზიდენტი) მოხალისეებთან ერთად, რამდენიმე ბენეფიციარს ამანათები ბინაზე პირადად მიუტანეს.

კარიერის დასახლებაში გზის მოწყობის სამუშაოები დაიწყო

კასპის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" შორის გაფორმებული მემორანდუმის პირობის თანახმად, ე.წ. "კარიერის დასახლებაში" გზის მოწყობის სამუშაოები უკვე დაიწყო.

სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ტრანსერვისი" ახორციელებს.

გზის სიგრძე 450 გრძივი მეტრია, რომელზეც ასფალტ-ბეტონის საფარი დაიგება.

კომპანიის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ გზა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დრო-

ში დასრულდება.

ახალი გზა მოსახლეობას და ტრანსპორტს გადაადგილების პირობებს გაუუმჯობესებს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია აღმოიფხვრება დამტვერიანების პრობლემა, რაც ადგილობრივ მოსახლეობას აწუხებდა.

ციხე-გალავნის რეაბილიტაცია

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალქალაქში ღვთისმშობლის ეკლესიის კომპლექსის ციხე-გალავნის (კოშკებით) რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტით გათვალისწინებულია კომპლექსის სრული აღდგენა, ნაგებობის ეზოში საგამოფენო დარბაზის, საოფისე სივრცის, მოსასვენებლის, საინფორმაციო ცენტრისა და ამფითეატრის მოწყობა.

სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული სს "სამშენებლო კომპანია"ივერთმშენი" აწარმოებს. სამუშაოების ღირებულება 557 602 ლარია, რომელიც კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან და

რეგიონალური განვითარების ფონდიდან ფინანსდება. კომპლექსის რეაბილიტაცია 2021 წელს დასრულდება.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის აღდგენა ტურისტისთვის - კიდევ ერთ საინტერესო სანახაობით გარემოს შექმნის და ხელს შეუწყობს ვიზიტორების სიმრავლეს.

კასპის მუნიციპალიტეტი მდიდარია ტურიზმის ობიექტებით.

მუნიციპალიტეტის მერია მაქსიმალურად ცდილობს ხელი შეუწყოს ტურისტული ობიექტების და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა თამაზ ტატანაშვილმა.

რუბრიკა - წელიწადის ,,მეხუთე დრო,, ელოდება თქვენს გამოხმაურებას. მობრძანდით რედაქციაში, გაგვაცანით თქვენი ნამუშევრები (წარმოადგინეთ ელექტრონული ვერსია) და გავაცანით ისინი საზოგადოებას.

მეხუთე დრო

„აწმყო შობილი წარსულისაგან„ ანუ ისევ სამშობლოს სიყვარულზე

დისტანციური ლექცია-საუბრები მუზეუმში

ჩვეული სამუშაო განრიგი, რიტმი, შემოქმედებითი ატმოსფერო სრულიად რომ არ შეფერხებულიყო კოვიდ 19-ის პირობებში, გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა თავიდანვე მიზნობრივად დაგეგმა... ამავდროულად, ამას წინ უსწრებდა მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის ხელმძღვანელის თეა ხორბალაძის რეკომენდაციით გამართული სამუშაო თათბირები, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა მუზეუმების გაერთიანების დირექტორი გივი მელაძე.

– სწორედ ერთობლივი ძალისხმევითა და მცდელობით შევიმუშავეთ დისტანციური სამოქმედო განრიგი, – აცხადებს კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი გიორგი ჩადუნელი, – და გადაწყდა, რომ კვირაში ერთხელ ინტერნეტ სივრცეში მუზეუმის ფეისბუკის მეშვეობით გავრცელდებოდა ჩვენი თანამშრომლების მიერ მომზადებული ლექცია-საკითხები მუზეუმის ექსპოზიციისა და რაიონის გამოჩენილი ადამიანების საინტერესო ისტორიული მოვლენების შესახებ. რასაკვირველია, ეს გახლდათ ერთ-ერთი გამოსავალი, რათა ჩვენს ვიზიტორებთან გვქონოდა კონტაქტი, ამიტომ კვირაში ერთხელ ვიკრიბებოდით ერთმანეთის მონაცვლეობით, საგულდაგულოდ ვიცავდით სამთავრობო რეგულაციებსაც და ასე და ამგვარად განვიხილავდით წინასწარ მომზადებულ თემებს.

მსმენელთა გარკვეული ნაწილის განმარტებით ეს ეგრეთ წოდებული ვიდეო-ლექციები საკმაოდ საინტერესოდ გაჟღერდა და ბუნებრივია, ადეკვატურად აღიქვა მსმენელმა... სულ პირველად ლექცია-გადაცემა მოამზადა ხატია ხორგუაშვილმა, სადაც მან მიმოიხილა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და სამუზეუმო ქსელში შემავალი სხვა მუზეუმების ისტორია. მეორე ჩაწერა შეეხო მუზეუმის ექსპოზიციაში დაცული ქვის, ბრინჯაოს, რკინის ხანის ექსპონატების მიმოხილვას, რომელიც მოამზადა მუზეუმის გიდმა ნელი ნიაზაშვილმა, ანტიკური პერიოდის ექსპოზიციაზე საინტერესო ლექციასაუბარი შესთავაზა ფეისბუკის მომხმარებელს ლანა თათანაშვილმა, ვარჯაანის ხის კანკელის შესახებ საინტერესოდ და შთამბეჭდავად ისაუბრა მუზეუმის ხელოვნების განყოფილების გამგემ, ვეტერანმა თანამშრომელმა, მხატვარმა იორამ იმედაშვილმა.

მუზეუმის შუა საუკუნეების დარბაზში განთავსებული ქართული ძველი საბრძოლო იარაღისა და აღჭურვილობის შესახებ ისაუბრა მუზეუმის დირექტორმა გიორგი ჩადუნელმა, თვალადელი დიდკაცის, ქართველი საზოგადო მოღვაწის გიორგი შატბერაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრა მუზეუმის საგანმანათლებლო განყოფილების გამგემ ნანა მერებაშვილმა. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ამ არაორდინალური ლექცია-საუბრების ტექნიკური უზრუნველყოფისათვის ძალისხმევა არ დაიშურეს ლაშა ზუბიაშვილმა, გვანცა კელაპტრიშვილმა და თეა ბიჭიკაშვილმა.

ამასობაში კი, 20 ივნისიდან განახლდა კასპის მუზეუმის სამუშაო პროცესი, დაიწყო ვიზიტორების მიღება და რასაკვირველია, დადგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით მუზეუმი ამჯერადაც კარგად მოემზადა: შენობაში თვალსაჩინო ადგილზე გამოიფინა პანდემიასთან დაკავშირებული სააგიტაციო ინფორმაცია. ამდენად, მუზეუმში მოსულ ვიზიტორს უტარდება თერმოსკრინინგი, მართალია, უწინდელთან შედარებით ჯერჯერობით საგრძნობლად ნაკლებია ვიზიტორთა რაოდენობა, მაგრამ იმედია, რომ უახლოეს ხანში ჩვეულ განრიგს დაუბრუნდება მუზეუმის შემოქმედებითი კოლექტივი.

ამონარიდები ლექცია-საუბრებიდან:

გიორგი ჩადუნელი – იარაღი ოდითგანვე იყო ადამიანების საბრძოლო საშუალება და არა მხოლოდ შეტევითი, არამედ თავდაცვითი ბრძოლის დროსაც. ჩვენი წინაპრები ხომ ძირითადად თავდაცვით ბრძოლებს ეწეოდნენ ურიცხვი მტრის წინააღმდეგ... აბჯარი გახლავთ ლითონის ან სხვა მასალისაგან დამზადებული აღჭურვილობა. მეომრებს აბჯარი ათასწლეულების განმავლობაში ემოსათ, რათა ომში თავი დაეცვათ.

საქართველოში აბჯარს უძველესი დროიდან ხმარობდნენ ფართო გაგებით საჭურვლის ერთ "ტანს" /ერთ კომპლექტს/ აღნიშნავდა, მასში შედიოდა მუზარადი. ჯაჭვის პერანგი, სამკლაური /ხელნავი/ ფარი, ხმალი, დაშნა, საბარკული, საცერული /საფუხავი /საპირწონე/.

ჯაჭვის პერანგი, მეომრის თავდასაცავი აღჭურვილობა – მეორე-მესამე საუკუნეებში ჯაჭვის პერანგის დამზადების ტექნიკას საქართველოში უმაღლეს საფეხურისთვის მიუღწევია, რადგან ის უკვე ფარეშანია. ჯაჭვები არა მარტო რგოლების შეკავშირებით, არამედ თარგითაც განირჩევა. უფარეშო ჯაჭვის პერანგი წინ გახსნილია, ხოლო ფარეშიანი დადუღებული ტიპი, ჯაჭვის თავგასაყრელ სახეობას წარმოადგენს. თავგასაყრელი პერანგის სახეობა უფრო დაწინაურებულია, რადგან ბრძოლის დროს მეომრის მკერდი მკვიდრადაა დაცული. საინტერესოა ის, რომ ხევსურები დადუღებულ ჯაჭვს მიიჩნევდნენ კარგ ჯაჭვად, რომელიც იმხანად 5 ძროხად ფასობდა. მასალის მიხედვით ჯაჭვის პერანგები უმეტესად ფოლადისაგან მზადდებოდა. ფოლადის სხეპლისგან კერავდნენ ჯაჭვის თვალს. ერთი ჯაჭვის მოსაქსოვად საჭირო იყო დაახლოებით 15-20 ათასი რგოლი. რგოლების რაოდენობა დამოკიდებული იყო ასასხმელი ჯაჭვის მოცულობაზე. სხვათა შორის, ხევსურეთში ქალებიც ქსოვდნენ ჯაჭვის პერანგს. ერთი სიტყვით, საქართველოს მთამ, კერძოდ კი, ხევსურეთმა, სხვა კუთხეებთან შედარებით ყველაზე უკეთ შემოგვინახა ჯაჭვის დამზადების ტექნოლოგია.

ქართველ მეომრებს თავსარქმელად მუზარადი, ჩაჩქანი და ჩაფხუტი ჰქონდათ, ძლიერი დარტყმის შესამსუბუქებლად იხურავდნენ თუშურ, ხევსურულ ქუდებს.

ხმალ-ქარქაშით და ყაწიმებით – "გორდა" /ხევსურული /, ქართული ხმლის ერთ-ერთი სახეობაა. მისი მთლიანი სიგრძე-91,5 სანტიმეტრია, მთლიანი ზედაპირი მორთულია ხევსურული იარაღისათვის დამახასიათებელი ორნამენტული დეტალებით, ვადაჯვრის ზედაპირზე გამოსახულია კუდაწეული ლომის ფიგურა, ქარქაშის ზედაპირზე ორნამენტებში ერთ დეტალს აქვს ჯიხვის ფორმა. ფარი ხევსურული ზომით პატარაა და რკინის სალტეებითაა შეკრული, სხვა ანალოგებთან შედარებით უფრო მსუბუქი და ადვილი მოსახმარია.

პრაქტიკოსების თვალსაზრისით ხევსურული ფარი და ხმალი სწრაფი შეტევების განხორციელების საშუალებას იძლევა. გორდა ხმალი დიდი პოპულარობით სარგებლობდა მთელ კავკასიაში. აქედან გამომდინარე მთიანი კავკასიის თითქმის ყველა ეთნოსის წარმომადგენელს უჩნდებოდა პრეტენზია ხმლის წარმომავლობა საკუთარ რეგიონთან დაეკავშირებინა. ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით ხმლის ორი ოსტატი წაკამათებულა – ვისი ხმალი იყო უკეთესი, ერთმა მათგანმა ხმლის მაღალი ღირსების დასამტკიცებლად ცხვარი ხმლის ერთი მოქნევით გაკვეთა შუაზე, მაგრამ მეორემ მაინც არ აღიარა მოწინააღმდეგის უპირატესობა, მაშინ გაცეცხლებულმა პირველმა ოსტატმა დაიღრიალა "გურიდა", რაც ერთ-ერთ კავკასიურ დიალექტზე "შეხედეს" ნიშნავს და ურწმუნო მჭედელი თავის ხმლიანად შუაზე გაკვეთა. უხუცესებმა საუკეთესო ოსტატი სასიკვდილოდ ვერ გაიმეტეს და განაჩინეს, რომ ოსტატს ხმალი დაემზადებინა. მჭედელმა შეასრულა დავალება. ადრინდელ დამღას, ზედა და ქვედა ყბას /დაკბილული რკლები, ნიშნად იმისა, რომ ხმალი ისე კვეთდა რკინას, როგორც კბილები ძვალს/ გარშემო დაუმატა წერტილები, სიმბოლურად სისხლის წვეთების აღსანიშნავად, რომ ხმლები სისხლის საფასურს წარმოადგენდა. საქართველოში არ მოგვეპოვება შუა საუკუნეების გორდა ხმლის პირები.

იგივე ლეგენდა გადმოგვცემს: ხმლის ორი დაკბილულ ზედაპირიანი ნახევარმთვარის ფორმის რკალებში, შუაში განთავსებული წარწერა "გენუა" - ამ დამღის ისტორია XIV საუკუნის ერთი ვერსიით გენუის სახელმწიფოს უკავშირდება. ე. ლენცი განმარტავს, რომ აღნიშნული ვერსია იმეორებს სკანდინავიურ და გერმანულ თქმულებას, ზღაპრულ მეიარაღე ვილანდზე, რომლის მიხედვით მისი მოწინააღმდეგე მჭედელი მილია შუაზე გაკვეთა. თქმულების მიხედვით ვილანდმა მჭედლობა კავკასიაში შეისწავლა. ერთი ვერსიით გორდას დამღა XIV საუკუნის გენუელ ოსტატებს ეკუთვნოდათ, რომელთა მიერ გამოჭედილი ხმლის პირები საქართველოში გენუელ და ვენეციელ ვაჭრებს ეკუთვნოდა... ერთ-ერთი ვერსიით კი, ევროპელებმა გორდას დამღიანი ხმლები ჩვენგან გაიტანეს და ხმლებს სწორედ ამის შემდეგ ხვდა წილად საერთო ევროპული აღიარება. ლეგენდის მიხედვით სოფელ გორდაში ქართველი ოსტატი ცხოვრობდა, ამიტომ ხმალსაც გორდა ეწოდა, მაგრამ ამ მოსაზრების მეცნიერული დასაბუთება არ მოგვეპოვება.

გორდა ხმალს საქართველოში ხშირად ვადაჯვრიან ტარებს უკეთებდნენ, მაგრამ ვხვდებით შაშკა ხმლის ანუ "ჭოლაური", "ლეკური". "ჭოლაური" ქართული ხმალი უმაღლესი ხარისხის ფოლადია, ძალიან ბასრი, თავისუფლად ჭრის ქაღალდს, არის ზამბარასავით დრეკადი. ქარქაში და ტარი არის მთლიანად მელქიორში. ხმალზე დატანილი ორნამენტები გაკეთებულია ბექა და ბეშქენ ოპიზრების სტილში.

ქამარი ვერცხლის – წელზე შემოსარტყმელი, არსებობს ნაირგვარი სახეობისა, განსაკუთრებით კი, მნიშვნელოვანი იყო ოქრომჭედლების მიერ დამზადებული ტყავზე აწყობილი ვერცხლის ქამრები, რომლებსაც გააჩნიათ უნიკალური აბზინდა-ბალთა. ვერცხლის ქამრებს ატარებდნენ როგორც ქალები, ასევე მამაკაცები, ვაჭართა წრის წარმომადგენლები და მოდური გატაცების გარდა ქამარს გააჩნდა პრაქტიკული დანიშნულებაც, ამიტომ საკმაოდ ძვირად ფასობდა და უსახსრობაში ჩავარდნილ ადამიანს მისი გაყიდვით გარკვეული დანაკლისის ანაზღაურება შეეძლო.

თბილისური ვერცხლის ქამრები ოქრომჭდლობის განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია.

იორამ იმედაშვილი – სოფელი ვარჯაანი მდებარეობს სოფელ გუდალეთის სიახლოვეს. ვარჯაანში არსებული კანკელი წარმოადგენს X-X1. ს. ძეგლს. ამ დროის ძეგლები იშვიათად არის შემორჩენილი ქართულ ხუროთმოძღვრებაში, მითუმეტეს, რომ იგი დამზადებულია ხისგან... ეს კანკელი სრულად წარმოადგენს სრულყოფილ კანკელს, გარდა მცირე დეტალებისა. მიუხედავად მცირე ზომისა, ის გახლავთ ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლი. საყურადღებოა ისიც, რომ კანკელი არის მთლიანად მოჩუქურთმებული და ჯდება ამ პერიოდის ჩუქურთმის სტილში.

კანკელის შემადგენლობაში იკითხება ძირითადი ნაწილი ძელი, თარაზული ძელი, რომელიც მთლიან სიგრძეზეა განთავსებული. მასში გაჭრილია ნახევარწრიული ხუთი თაღი, რომელიც დგას სვეტებზე, სამი მათგანი მრგვლოვან ექვსკუთხა სვეტზეა, ხოლო ორი თაღი, მართკუთხა სვეტზეა /განაპირა სვეტები მართკუთხაა/.

კანკელის ფუძე ორი ნაწილისაგან შედგება, მასზე გამოსახულია ზოომორფული ორნამენტები. კანკელის შუა ნაწილზე შეინიშნება ანჯამების კვალი, დამზადებულია ნაძვის ხისგან.

ნანა მერებაშვილი – ... თვალადელი დიდკაცი, ქართველთათვის საამაყო საზოგადო მოღვაწე გიორგი შატბერაშვილი დიდხანს მოღვაწეობდა მშობლიურ რაიონში. იგი ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა არა მარტო თვალადში, ასევე სოფელ ქვემო ჭალასა და კასპის პირველ საშუალო სკოლაში. მის ხელში აღიზარდა

გაგრძელება გვ-5.

„აწმყო შობილი წარსულისაგან„ ანუ ისევ სამშობლოს სიყვარულზე

გაგრძელება.

ბევრი სახელოვანი ადამიანი, მათ შორის, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მერი ჭელიძე, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები ანიკო არაბიაშვილი და შამილ დალაქიშვილი, მისი ნამოწაფარი იყო აგრეთვე, ბრძოლის ველზე დაცემული მიხეილ ჯანვერდაშვილი.

ყოფილი მოსწავლეები დიდი სიყვარულითა და მოწიწებით იხსენებდნენ შეუდარებელ პედაგოგსა და მოამაგეს, რომელიც ზრუნავდა და იღვწოდა მომავალი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის. “გოგი მასწავლებელი X კლასში გვასწავლიდა, — იხსენებდა მისი ნამოწაფარი მანია გახელაძე, — იგი სიკეთისათვის იყო დაბადებული, სხვისი ბედნიერებისათვის არაფერს იშურებდა, კლასელებს ერთად შეგვკრებდა ხოლმე და დამატებით გვამეცადინებდა, იცოდა, რომ მათემატიკურზე მინდოდა ჩაბარება, მაგრამ არც კი ვიცოდით სად იყო უნივერსიტეტი, მან სპეციალურად ჩვენი გულისთვის მოაწყო ექსკურსია და მთელი კლასი წაგვიყვანა თბილისში უნივერსიტეტის სანახავად”.

გიორგი შატბერაშვილი დიალექტიკური სიტყვის დიდი ქომაგი გახლდათ, ბევრს მოგზაურობდა ქართულ სოფლებში, სადაც აკვირდებოდა და სწავლობდა ადგილობრივ მცხოვრებთა მეტყველებას, ეცნობოდა ამ კუთხის ზეპირსიტყვიერებას და რვეულში იწერდა. ახალ სიტყვათა დიდი ნაწილი დედისგან ჰქონდა გაგონილი, სწორედ დედა იყო მისი პირველი მთქმელი და ამხსნელი, ამიტომ მწერალმა თავის ნაშრომს “დედის ლექსიკონი” შეარქვა და მას მიუძღვნა.

ლანა თათანაშვილი — კავთისხევის ჩრდილო განაპირას, მდინარე კავთურის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს ნამოსახლარი “ციხიაგორა”. ძეგლის შესწავლა მიმდინარეობდა კასპის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1971-1992 წლებში... გათხრების შედეგად დადასტურდა 4 კულტურულ-ქრონოლოგიური ფენა, ადრებრინჯაო, შუაბრინჯაო, გვიანბრინჯაო და ანტიკური ხანის. ციხიაგორაზე მოსახლეობა დაბინავებულა ადრე ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე, ძველი წ.აღ. მეოთხე ათასწლეულის ბოლოს და ამ დასახლებას მესამე ათასწლეულის პირველ ნახევრამდე გაუძლია.

განსაკუთრებით საინტერესოა არქეოლოგიური გათხრების მეოთხე ფენა, რომელიც მოიცავს ძველი წ.აღ. IV-III ს.ს. ისტორიულ მასალას. გამოვლენილია საკმაოდ რთული გეგმის კომპლექსი, რომლის შემადგენლობაში შედის ტაძარი, ბეღელი, მარანი, სათონე და სხვა ნაგებობები. ეს ყველაფერი შემოზღუდულია გალავნით, რომელიც ალიზითაა ნაგები. აღმოჩენილია აგრეთვე, შავად გამომწვარი კერამიკა, რომელიც შეღებილი და მოხატულია წითლად... სატაძრო კომპლექსის ძირითად ნაგებობას წარმოადგენს თავად ტაძარი, შიდა ეზო და სათავსოები. ყველა ეს ნაგებობა ერთი სამშენებლო ტექნიკითაა აგებული და ბრტყელი კრამიტით არის გადახურული. სატაძრო კომპლექსი უნიკალურია თავისი მნიშვნელობით საქართველოს ანტიკური ხანის ისტორიისა და კულტურის შესწავლისათვის. მასში ნათლად ჩანს აღმოსავლური და დასავლური კულტურების გავლენა და შერწყმა, ამის თვალსაჩინო მაგალითია ტაძრის ტერიტორიაზე აღმოჩენილი თეთრი კირქვისგან გამოთლილი აქემენდიური სტილის კაპიტალი — ორი ერთმანეთთან ზურგშექცეული ნახევარხარი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მჭიდრო კავშირი ჰქონდა აქემენდიურ სამყაროსთან. არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა მდიდრულინვენტარიანი ორმო-სამარხი. მიცვალებულს სხვადასხვა ნივთთან ერთად ჩატანებული ჰქონდა ოქროს კუწუბებიანი ფირფიტა დისკო, სადაც გამოსახულია მზე. ამ სამარხში სავარაუდოდ დაკრძალული იყო ციხიაგორა ტაძრის ერთ-ერთი მოგვი. სამარხი თარიღდება ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებით. მოკლედ, ბევრი დეტალით ირკვევა, რომ ეს კომპლექსი მზის ღვთაების და ცეცხლის ტაძარია.

მნიშვნელოვანია მარანი 48 მოხატული ქვევრით და გალავნით შემორტყმული. მარნის არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ ამ პერიოდში ქართლში კარგად ყოფილა განვითარებული მევენახეობა და ღვინის დაყენების კულტურა. მარანი ალიზითაა ნაგები. მარანს ბანური გადახურვა ჰქონია, რადგან აქ არ აღმოჩნდა კრამიტის არც ერთი ნატეხი, რომელიც სახურავად იქნებოდა გამოყენებული. მარანში აღმოჩნდა იატაკში ხუთ რიგად ჩადგმული 48 ქვევრი. ყველა მათგანი ყელამდეა ჩადგმული და სხვადასხვა ორნამენტითაა შემკული. ქვევრების გვერდით დადასტურდა ბრტყელი კრამიტი, რომელსაც ქვევრების სარქველებად იყენებდნენ. ეს სარქველები ქვევრების გვერდით იყო, ზედ არაფერი ეფარა.

დასასრული მომდევნო ნომერში.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

მოკლე ისტორია

2008 წელს გზატკეცილის გაფართოებასთან დაკავშირებით ჩატარებული გადარჩენითი არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა გრაკლიანი გორა.

შიდა ქართლის მხარეში, კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. იგოეთისა და სამთავისის ტერიტორიაზე, მდ. ლეხურის მარჯვენა ნაპირზე მდებარე გორაზე, უშუალოდ თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზატკეცილთან 2015 წლის 19 მარტის საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, გრაკლიანი გორას მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის კულტურის უძრავი ძეგლის პირველი კატეგორია.

ძეგლი წარმოადგენს მრავალფენოვან ნამოსახლარს და სამაროვანს. აღმოჩენილი მასალა მიეკუთვნება სხვადასხვა პერიოდს პალეოლითიდან ძვ.წ. - II- I საუკუნეებამდე, როდესაც გრაკლიან გორაზე ადამიანის აქტივობა უნდა დასრულებულიყო.

2015 წელს გრაკლიანი გორას ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

2015 წელს გორაზე ძვ. წ. VII საუკუნის ტაძარი, ორი საკურთხეველი და საკურთხევლის პოსტამენტზე დღემდე უცნობი დამწერლობის ერთსტრიქონიანი წარწერა გამოვლინდა. დღემდე უცნობი წარწერა გრაკლიანის საკურთხეველზე ყველაზე ადრეულია და საქართველოში დამწერლობის გამოყენების 2 700 წლის ისტორიას ცხადყოფს.

ახალი აღმოჩენა

თსუ-ის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გრაკლიანი გორაზე ახალი არქეოლოგიური არტეფაქტები აღმოაჩინა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცნობით, უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გრაკლიანი გორაზე ახალი არქეოლოგიური არტეფაქტები აღმოაჩინა, რომლებიც ძვ. წ. II და I ათასწლეულებით თარიღდება.

როგორც უნივერსიტეტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, საველე სამუშაოების წარმოებისას პირველ ტერასაზე სამარხებში დიდი რაოდენობით კერამიკული და ლითონის ინვენტარია აღმოჩენილი, ხოლო მეოთხე ტერასაზე უკვე დაიწყო ძვ.წ. X საუკუნის წარწერის სინქრონული ნაგებობის შესწავლა.

ამასთან, ახალი აღმოჩენები გაკეთდა ძვ.წ. V-IV საუკუნეების სატაძრო კომპლექსის ნაშთების კვლევისას, სადაც პირველად დაფიქსირდა არტეფაქტები, რომელიც რკინის ნივთების წარმოებასთან არის დაკავშირებული.

თსუ პროფესორის ვახტანგ ლიჩელის თქმით, ამ გამოკვლევის განსაკუთრებული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში,

რომ, როგორც ჩანს, ჩვენ აქ, პირველად გრაკლიანი გორაზე და საზოგადოდ ამ ეპოქისათვის საქართველოში საქმე უნდა გვქონდეს სატაძრო წარმოებასთან, ანუ ლითონის წარმოებასთან, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული სატაძრო-რელიგიურ მოთხოვნებთან. ეს არის პირველი შემთხვევა, როგორც მოგახსენეთ, და ძალიან დიდი იმედი მაქვს და ყველა ნიშანია იმისა, რომ ამ ძვ.წ. V/VI საუკუნეების ნაგებობის ქვეშ არის უფრო ძველი ძვ.წ. VI - IV საუკუნეების სხვა ნაგებობაც.

გრაკლიან გორაზე თსუ არქეოლოგებმა გათხრები 2007 წელს დაიწყეს, სადაც თსუ სტუდენტებისთვის სამეცნიერო-საველე პრაქტიკის ბაზა ჩამოყალიბდა. გრაკლიანის არქეოლოგიურ ბაზაზე გათხრების შედეგად ქვის ხანიდან ანტიკურ პერიოდამდე საზოგადოების განვითარების უწყვეტი ციკლი დადასტურდა.

სხვადასხვა პერიოდის 11 კულტურული ფენის გათხრის შედეგად აღმოჩენილი არტეფაქტები - პირველყოფილი ადამიანების სამუშაო იარაღები, გვიანდელი პერიოდის საკულტო დანიშნულების ნივთები და სხვა. თსუ ექსპედიციის მიერ 2015 წელს აღმოჩენილი გრაკლიანის უნიკალური წარწერა მაიამის (აშშ) ლაბორატორიამ ძვ.წ. XI-X საუკუნეებს მიაკუთვნა. ამ აღმოჩენით საქართველო შევიდა იმ უზარმაზარი ცივილიზაციების რიცხვში, რომელთაც საკუთარი დამწერლობა ჰქონდათ ათასწლეულების მანძილზე, - ნათქვამია უნივერსიტეტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

სად ინახება სამყაროს უძველესი სიბრძნე

კორონა ვირუსის არსებობამ ძალიან შეცვალა ჩვენი ცხოვრების წესი, დამოკიდებულება საინფორმაციო საშუალებებთან, ინტერნეტ სივრცესთან. საკუთარი მოთხოვნილებების შესაბამისად გადავანაწილეთ დრო ტელევიზორისათვის, კინოსთვის, ფეისბუკისათვის... და ამ ახალ რეალობაშიც თავისი ადგილი აქვს წიგნს, ახალი ავტორები ძველებურად ეხმარებიან მკითხველს მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხის მოძიებაში. წიგნისა და მკითხველის ურთიერთობა კვლავ ინახავს სამყაროს უძველეს სიბრძნეს.

კასპის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების გაერთიანების მთავარ ბიბლიოთეკაში მიღებულია ახალი წიგნები:

გოდერძი ჩოხელი - პროზა, პოეზია, წერილები; წიგნში შესულია რომანი ,, ადამიანთა სევდა''; მოთხრობები; ლექსები და წერილები.

,,ადამიანთა სევდა'' - ეკრანიზება მოხდა 1984 წელს და მის რეჟისორად მოგვევლინა თავად ავტორი. ეს გახლავთ ნაწარმოები, რომელიც მოგვითხრობს სიკეთის, სამართლიანობის, სიყვარულის შესახებ. გვასწავლის, რომ ძალას და ხელისუფლებას კი არ მოაქვს ბედნიერება, არამედ სიკეთეს, რომელსაც ადამიანებისათვის თესავ. ნაწარმოები ადამიანის ამქვეყნად მოვლინების, მისი დანიშნულების, სიკეთის, სამართლიანობის და სხვა ღირსებათა მარადიულ საკითხებს იკვლევს.

ჯეიმს დაშნერი - "განადგურების ბრძანება";

უკეთურის შექმნამდე და თომასის ლაბირინთში მოხვედრამდე 13 წლით ადრე მზეზე აფეთქებებმა დედამიწის მოსახლეობის უმეტესობა შეიწირა, შეიცვალა კლიმატი, დაიწყო გლობალური დათბობა...

კატასტროფას გადარჩენილებმა მთებსა და ტყეებს შეაფარა თავი და ახალშენების დაარსება დაიწყეს, მაგრამ მალე სხვა განსაცდელი დაატყდათ თავს: ხელისუფლებამ უცნობი ვირუსის გავრცელებით მოსახლეობის რაოდენობის შემცირება გადაწყვიტა! მარტი და ტორა ლანასა და ალეკთან ერთად ჩრდილოეთ კაროლინისკენ მიემართებიან სამყაროს გადარჩენის იმედით.

ჯეიმს დაშნერი - "ლაბირინთში მორბენალი"; თომასმა იცის, რომ უკეთურის ნდობა არ შეიძლება. მათ ბიჭს მეხსიერება დაუკარგეს და ლაბირინთში გამოამწყვდიეს; მერე სასიკვდილოდ გაწირეს; უახლოეს მეგობრებს კორდელებს დააშორეს. ახლა უკეთური ირწმუნება, რომ სიცრუის ხანა დასრულდა, მათ ხელთ აქვთ ყველა საჭირო მონაცემი და მეხსიერებადაბრუნებული კორდელების იმედად არიან. მოზარდების მისია ელვარებისგან განსაკურნი მატრიცის შექმნაა. უკეთურმა არაფერი იცის, თომასს კი აღარაფრის სჯერა. თუმცა სიცრუის ხანა დასრულდა, სიმართლე იმაზე საშიში აღმოჩნდა, ვიდრე ბიჭს წარმოედგინა. ნუთუ სიკვდილით განკურნების შემდეგ ვინმე გადარჩება? თომასმა ბევრი რამ გაიხსენა და ახლა უკანასკნელი გამოცდა უნდა ჩააბაროს.

გურამ პეტრიაშვილი - "პატარა ქალაქის ზღაპრები";

"უკვე 20 წელიწადზე მეტია ბატონი გურამი წერს ზღაპრებს პატარა ქალაქზე, რომელშიც უცნაური ამბები და სასწაულები ხდება, თუმცა ეს ქალაქი მაინც ძალიან ჰგავს რეალურს", — აცხადებენ გამომცემლობა "პალიტრა"-ში. წიგნი გამორჩეულია ილუსტრაციებით, რომლის ავტორიც მხატვარი ნინო ჩაკვეტაძეა. გურამ პეტრიაშვილის თქმით, წიგნი "პატარა ქალაქის ზღაპრები" "ყველასთვის არის, ვის გულშიც ბავშვი ცოცხლობს".

არჩილ სულაკაური - "სალამურას თავგადასავალი";

ქონდარეთის ჯიუტმა და ძილისგუდა უფლისწულმა სიზმარში ნანახ ციცინათელების მწყემსთან თამაში მოინდომა. ღამის შიკრიკებმა ციცინათელების მზეთუნახავი მწყემსი მოიტაცეს და უფლისწულს მიჰგვარეს. მეგობრის გადასარჩენად სალამურამ ქვეყნიერება მოიარა და რა არ გადახდა თავს, ჯამბაზობაც ისწავლა და მუშტი-კრივიც...

წაიკითხე ყველა დროის საუკეთესო ქართული ლიტერატურული ზღაპარი არჩილ სულაკაურის "სალამურას თავგადასავალი" და უფრო მეტს შეიტყობ სიკეთესა და მეგობრობაზე.

პიტერ ბანზლი - "მექანიკური გული";

განთქმული გამომგონებლის, თანამედროვე მექანოიდების შემქმნელის, ჯონ ჰარტმანის ქალიშვილი, კეთილი და გულადი გოგონა ლილი, მესაათის ვაჟი რობერტი და მექანოიდი მელა მალკინი ბნელით მოცულ და სახიფათო სამყაროში აღმოჩნდებიან. ლილის მამა საეჭვო ვითარებაში გაუჩინარდა და გოგონა ხარბი, დესპოტი მეურვის ხელში აღმოჩნდა. თავად ლილის სიცოცხლეც საფრთხეშია, რადგან მამის მტრები მასაც უდგანან კვალში. საბედნიეროდ, ლილი მალევე ხვდება, რომ მისი ოჯახის ახლობლები და კეთილის მსურველები სინამდვილეში მოღალატეები არიან. ამ თავბრუდამხვევ თავგადასავალში ერთმანეთს ეხლართება მკვლელობა, ქაოსი და საიდუმლოება.

როალდ დალი - "დიკეგო";

დიკეგო ერთადერთი კეთილი გოლიათია კაციჭამია გოლიათთა მხარეში. ის შუაღამისას მძინარე ბავშვებს საძინებლებში მხიარულ სიზმრებს უფრქვევს, ოღონდ არავინ არ უნდა დაინახოს, ხოლო თუ ვინმემ შეამჩნია...

და აი, ერთხელ, ერთ პატარა ობოლ გოგონას, რომელსაც ძილი არ ეკარება, გოლიათი გოლიათების მხარეში გააქროლებს. პატარა სოფი და სასაცილოდ მოლაპარაკე კეთილი გოლიათი მალე დამეგობრდებიან. დიკეგო გოგონას სიზმრების ქვეყანაში წაიყვანს, ფუჰგემურ კიტრეკალას და შუშხუნათს გაასინჯებს, ბათქაპუკს ასწავლის და, რაც მთავარია, მასთან ერთად დასახავს გეგმას, როგორ იხსნან ადამიანები კაციჭამია გოლიათებისგან.

როალდ დალის თავის წიგნებს შორის ყველაზე მეტად თურმე დიკეგო დიდი კეთილი გოლიათი უყვარდა.

როალდ დალი - "ჩარლი და შოკოლადის ქარხანა";

მისტერ ვილი ვონკა, რომელიც მსოფლიოში საუკეთესო საკონდიტრო ქარხნის მფლობელია, აცხადებს კონკურსს შემდეგი პირობით: ხუთი იღბლიანი ბავშვი, რომელთაც შოკოლადის ფილაში მომგებიანი ბილეთები შეხვდებათ, შეძლებს ამ საოცარი ქარხნის დათვალიერებას, ხოლო ერთი მათგანი იმდენ შოკოლადს მოიგებს, რომ მთელი სიცოცხლე ეყოფა!

ჩარლი ბაკეტი, პატარა ბიჭი ღარიბ-ღატაკი ოჯახიდან, რომელსაც იმის საშუალებაც კი არა აქვს, რომ ყველაზე უბრალო შოკოლადის კამფეტი შეიძინოს, შემთხვევით პოულობს მომგებიან ბილეთს და ნანატრ ქარხანას ეწვევა. რას არ ნახავთ მისტერ ვილი ვონკას შოკოლადის ქარხანაში: სრულიად განსხვავებულ, უგემრიელეს და უმშვენიერეს ფილებს, მარადიულ კანფეტებს, ოთხკუთხა ტკბილეულს, რომელიც მრგვალი გეჩვენება, და უამრავ სხვა ჯადოსნურ ნუგბარს. შეუერთდი ჩარლისა და კიდევ ოთხ იღბლიანი ბილეთის მფლობელს, იმოგზაურე ვონკას შოკოლადის ქარხანაში და გაიგე, რა გასაოცარი ამბები გადახდათ თავს ბავშვებს.

ტომ გეითსი - "ჩემი თავბრუდამხვევი სამყარო";

ტომ გეითსის თავბრუდამხვევი სამყარო მსოფლიოში სახელგანთქმული სერიის პირველი წიგნია. როგორც ყველა 9 წლის ბიჭი, ტომ გეითსიც სკოლაში დადის და მოსაწყენ გაკვეთილებზე ხატვით იქცევს თავს. მისი სასაცილო ჩანახატებიდან და ჩანაწერებიდან შეიტყობთ, როგორ გაატარა ზაფხულის არდადეგები, როგორ გააბრაზა უფროსი და დელია და მოახერხა თუ არა საცნებო კონცერტზე დასწრება.

გოეთე - "ფაუსტი" ნაწ.;

"ფაუსტის" პირველი ნაწილი 1810 წელს გამოქვეყნდა, მეორე - 22 წლის შემდეგ. მსოფლიო ლიტერატურის ეს ერთ-ერთი უმაღლესი ქმნილება სიმბოლურ-ალეგორიული ნაწარმოებია, რომელშიც ადამიანური არსის შეცნობის პრობლემა, ღვთიურისაკენ მისი სწრაფვა მრავალფეროვანი ლიტერატურული ხერხებითაა დახატული. დოქტორ ფაუსტსა და მეფისტოფელს კრიტიკოსთა ერთი ნაწილი სიკეთისა და ბოროტების მარადიული ჭიდილის სიმბოლოდ, მეორე - ერთი და იმავე მოაზროვნე გონის ორ ურთიერთდაპირისპირებულ მხარედ მიიჩნევს. საინტერესო, დრამატული ფაბულა და სულისშემძვრელი ტექსტი დღემდე აღაფრთოვანებს ლიტერატურის მოყვარულებს.

გოეთე - "ფაუსტი" ნაწ.;

დიდი გერმანელი მწერლისა და მოაზროვნის, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს (1749-1832) მრავალმხრივი შემოქმედება, დიდი ხანია, მსოფლიო ლიტერატურის კუთვნილებაა. მისი რევოლუციური შეხედულებებით, სიღრმითა და სარკაზმით გამორჩეული ნაწარმოებების უმეტესობაში სამყაროს ერთიანობისა და მშვენიერი ადამიანის იდეაა ასახული.

მწერალი მხოლოდ ბუნებას როდი აიგივებს ღმერთთან, თვით ადამიანს აღაზევებს ბუნება-ღმერთზე და მას მსოფლიო გონთან მებრძოლ არსებად წარმოადგენს. ეს იდეა გასდევს მისი შემოქმედების მწვერვალს, ეპოქალურ ნაწარმოებს ფაუსტს, რომელსაც გოეთე თითქმის მთელი სიცოცხლის განმავლობაში წერდა. ფაუსტის პირველი ნაწილი 1810 წელს გამოქვეყნდა, მეორე 1832 წელს, მწერლის სიკვდილამდე ერთი წლით ადრე. თუ ტრაგედიის პირველი ნაწილი ხალასი პოეზიითა და ემოციურობით გამორჩეული შედევრია და ძირითადად მიჰყვება დოქტორ ფაუსტის ლეგენდას, მეორე ნაწილში გოეთე მეტ იმპროვიზაციას მიმართავს. ეს ნაწილი, თომას მანის სიტყვებით, სანახევროდ ფეერიას წარმოადგენს და სანახევროდ მსოფლიო ეპოსს, რომელშიც გერმანული ენის ყველა წყარო ჩქეფს. დავით წერედიანმა ამჯერადაც ოსტატურად აამღერა ეს წყაროები ქართულად და შეგვიძლია ფაუსტის მეორე, ნაკლებ დრამატულ და უფრო პოეტურ ნაწილს მშობლიურ ენაზეც გავეცნოთ.

აჰმედ მითჰათ ეფენდი - "ქართველი ქალი ანუ შურისძიება"; მოგზაურობაზე დაწერილი წიგნი მკითხველს ყოველთვის იდუმალი მოლოდინით განაწყობს, ალბათ, გასავლელი გზის გამო.

კლასიკოსი მწერალი აჰმედ მითჰათ ეფენდი (1844-1912) მრავალი ნაწარმოების ავტორია. "ქართველი ქალი ანუ შურისძიება", რომელიც ოსმალეთში 1888 წელს გამოიცა, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის ოჯახის რუსეთში გადასახლების ისტორიასა და საქართველოს ყოფაზე მოგვითხრობს. მეფისნაცვალ პავლე ციციანოვზე შურისძიების ამბავთან ერთად ავტორი გერმანელი მოგზაურის, გიომ სანის, ენით ჩვენი ქვეყნის მხარეებისა თუ ქალაქების შესახებაც გვიყვება. "ამ ადგილებში მოგზაურობა ძალიან სასიამოვნო რამ არის.

შეუძლებელია სიტყვით გადმოსცე ეს გრძნობა, რომ იქაურ სილამაზეს ვალი გადაუხადო... საქართველოზე შეყვარებული ვარ, ამიტომ აქ მოგზაურობა არასოდეს მომბეზრდება... რა სამწუხაროა, რომ აქ უკვე რუსული ცივილიზაცია შემოდის. რუსული ცივილიზაციისა და კულტურის უარყოფითი გავლენის ალბათობა ამ კეთილშობილ ხალხზე ძალიან დიდია.

სასტუმროს, სამიკიტნოს და მსგავსი ადგილების არსებობა იმ სტუმართმოყვარეობას, რაც მე ვნახე, ხომ მოსპობს! ვიცოდი ეს და ამიტომაც ვერ ვძღებოდი მოგზაურობით, სხვა გერმანელი ამას როდისღა ეღირსებამეთქი, ვფიქრობდი..."

ქართველ მკითხველს პირველად ეძლევა საშუალება, გაეცნოს ოსმალურიდან თარგმნილ თურქი კლასიკოსის ნაწარმოებს საქართველოს შესახებ.

შენონ ჰეილი - "პრინცების აკადემია";

ეს ამბავი ერთ პატარა სოფელში დაიწყო იმ დღეს, როდესაც ხმა გავრცელდა, მეფის ქურუმმა ბრძანა, მომავალი პრინცესა სწორედ ამ სოფელში ცხოვრობსო. ჰოდა, ახლა უფლისწულმა სოფლის გოგონებიდან უნდა აირჩიოს საცოლე. მანამდე კი მეფის დესპანმა მთაზე აკადემია დააარსა, სადაც თითოეული გოგონა ისწავლის, როგორ გახდეს პრინცესა. ვის გაუმართლებს? რომელს

დასასრული გვ-7.

ოქტოგენალური „არტგენი“ მე-17 წელი

ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში, თბილისში 2 აგვისტოდან 8 აგვისტოს ჩათვლით გიორგი ჩიტაიას სახელობის ქართული ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმში /კუს ტბაზე/ წელს უკვე მე-17-ედ გაიმართა ქართული ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი “არტგენი”... ეს ყოველწლიური ქართული ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი ზაფხულობით იმართება ჩვენი ქვეყნის მასშტაბით და სულ უფრო მეტ მონაწილეს იძენს.

წლევანდელი ქართული ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი “არტგენი” /წელს უკვე მე-17-ედ გაიმართა პანდემიასთან დაკავშირებული სირთულეების მიუხედავად/ და ბევრი შემოქმედი კოლექტივი მოიზიდა. რაც მთავარია, წელს ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ხალხური სიმღერა, ცეკვა და საბრძოლო ხელოვნება, სახალხო პოეზია, ხალხური იუმორი, რეწვა, ხალხური მედიცინა, კულინარია და ეკოლოგიურად სუფთა, ბიო-პროდუქტების გამოფენები.

ფესტივალ “არტგენის” /დამფუძნებელი ნიკოლოზ ანჯაფარიძე, ფოლკლორული პროგრამების კოორდინატორი სოლომონ გოგაშვილი, ხალხური რეწვის კოორდინატორი თამარ მელიქიშვილი / ორგანიზატორების განმარტებით წლევანდელი ღონისძიებები წარიმართა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დაწესებული რეკომენდაციების სრული დაცვით და ამდენად, კონცერტების ჩატარების მიმდინარეობა, მონაწილეთა რაოდენობა და სხვა ტექნიკურ-ორგანიზაციული საკითხები, შესაბამისად უწინდელთან შედარებით ოდნავ შეიცვალა, უფრო მეტიც, საგრძნობლად შეიზღუდა, აქედან გამომდინარე წლევანდელ “არტგენის” სცენაზე თითოეული რეგიონიდან მხოლოდ ერთი ტრიო, კვარტეტი /ასევე 7-8 მონაწილისგან შემდგარი ანსამბლი/, ან საოჯახო ანსამბლი იყო წარმოდგენილი.

— გავკადნიერდები და გეტყვით, რომ ყოველწლიური, უკვე ტრადიციადქცეული ფესტივალი “არტგენი” აქაურების გარეშე არც ერთხელ არ ჩატარებულა, უფრო მეტიც, წელს შიდა ქართლიდან მხოლოდ კასპი იყო წარმოდგენილი ფესტივალის “მოკრძალებულ” სცენაზე, — განმარტავს კასპის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი თეა ხორბალაძე, — ღირსეულად, მართლაც, რომ შეუდარებლად გამოვიდნენ ჩვენი სახელგანთქმული ანსამბლის “მოურავის” წევრები... იყო მოწონება, აპლოდისმენტები, უდიდესი აღმაფრენა, მაყურებელი მქუხარე ოვაციებით ხვდებოდა ჩვენს მომღერლებსა და შემსრულებლებს.

ანსამბლმა “მოურავმა” /ლოტბარი მიხეილ ქოსაშვილი/ ამჯერად სამი სიმღერით მოხიბლა ფესტივალის ორგანიზატორები და მაყურებელი, სცენაზე, ღია ცის ქვეშ ომახიანად ჟღერდა ქართველთა საამაყო “ჩაკრულო” და “მრავალჟამიერი”, “კალოსპირული”... ქართული, ნაციონალური სამოსი შვენოდათ ანსამბლის მომღერლებს: მიხეილ ქოსაშვილსა და რევაზ კერესელიძეს, იოსებ გიგაურსა და ნიკოლოზ ბათილაშვილს, ზურაბ კვარაცხელიას და ლევან დათაშვილს, გიორგი მორბედაძეს.

როგორც ღონისძიების თვითმხილველებმა განაცხადეს წლევანდელი ქართული ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი “არტგენი”, რომელიც განსაკუთრებული ვითარების ფონზე ჩატარდა, შედეგიანი და ამავე დროს რეზონანსულიც იყო. “არტგენი” მომავალ შეხვედრამდე დაემშვიდობა მაყურებლებს.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

დასასრული.

სად ინახება სამყაროს უძველესი სიბრძნე

აირჩევს უფლისწული? ერთი შეხედვით თითქოს მარტივად გამოსაცნობია, მაგრამ მოულოდნელობა სწორედ იქ ჩასაფრებულა, სადაც არ ელით.

ასტრიდ ლინდგრენი - “პეპი გრძელი წინდა”;

პეპი - მსოფლიოს ხალხთა ბავშვების უსაყვარლესი წიგნი წითელთმიანი, ჭორფლიანი გოგონას თავგადასავლების შესახებ. წიგნი განკუთვნილია 7-12 წლის ასაკის ბავშვებისათვის.

ენციკლოპედია - “ტყუილი თუ მართალი”;

ეს წიგნი დაგეხმარებათ, ერთმანეთისგან გაარჩიოთ რეალური ფაქტები და გამონაგონი. თქვენ წინაშეა თემატური ენციკლოპედია, რომელიც ჩვენს გონებაში არსებულ უამრავ, ამა თუ იმ საინტერესო მოვლენასთან დაკავშირებულ მითს ამსხვრევს.

ორჰან ფამუქი” - “ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟები”;

ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟები ორჰან ფამუქის პირველი რომანია, რომელიც 1982 წელს გამოქვეყნდა და ორჰან ქემალისა (გამოჩენილი თურქი პროზაიკოსი) და ,,მილეთის” (ერთ-ერთი უმსხვილესი თურქული გაზეთი) პრემიები დაიმსახურა საუკეთესო რომანისათვის.

სოფო არდია - “გროსმაისტერი”;

რამდენი ადამიანიცაა იმდენი ისტორიაა. მთავარია, შენი ისტორია იმ ერთისას დაემთხვას... ეს ისტორია კი ერთ ჭკვიან მანიპულატორ ადამიანზეა, რომელიც სხვებით თამაშობდა და თავისი მიზნის მისაღწევად არაფერს იშურებდა. ის ყველაზე ცნობილი იყო იმ დროს, ყველაზე პოპულარული... მაგრამ სინამდვილეში მას მაინც არავინ იცნობდა.

თამარ ჭოჭუა - “ნატურის ტუსაღი”;

გმირს ბნელით მოცული საფრთხე ემუქრება, თუმცა ეს მისი ბედის შემოტრიალების დასაწყისია. ამბავი იწყება გოგონას გაუჩინარებით. დეტექტივი, რომელიც ამ საქმეს იძიებს და გაუჩინარებული გოგონა, ხვდებიან ისეთ გარემოში, რომლის წარმოდგენაც კი არ შეეძლოთ. ახალგაზრდები ცდილობენ, ამოხსნან საიდუმლო...

ნათია ფანჯიკიძე - “შიშო, გამოდი გარეთ”;

ჩემი წერილების ეს კრებული 2014-2018 წლებში უმთავრესად ჟურნალ “ლიბერალისთვის” იწერებოდა სხვადასხვა მოვლენის პასუხად და სხვადასხვა განწყობით. ტექსტებს ამიტომ არა აქვთ ერთმანეთთან მკაფიო შინაარსობრივი კავშირი. მათი გამაერთიანებელი ყოველ ჯერზე იყო მხოლოდ მიზანი, განმეწყო ადამიანები მეტი გამბედაობისკენ, გამეჩინა მათში სულიერი სიმხნევე და ოდნავ მაინც შემემცირებინა მათი შიში და სევდა. ვცდილობდი ამეხსნა და საგრძნობი გამეხადა ზოგიერთი დაავადების შინაარსი და სხვადასხვა მდგომარეობის ფარული, შინაგანი მხარე, რადგან ის, რაც გავიგეთ, თუ არ ვიგრძენით კიდეც, ვერაფერს შეცვლის ჩვენში.

ბედნიერი ვიქნები, თუკი რომელიმე ჩანაწერი ვინმეს ოდნავ მაინც დაეხმარება, მეტ სიმშვიდეს და სილაღეს მიანიჭებს მიზნის დასახვაში, მოქმედებაში, სიცოცხლის სიხარულის აღქმაში. ამბობს ავტორი.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.

კეთილი სიახლეები ძმებისათვის

იშვიათი ამბავია: ორივე ძმა საქართველოს ძიუდოს ნაკრების წევრია. ისინი, 32 წლის ამირანი და 22 წლის ჯაბა პაპინაშვილები, ერთ წონით კატეგორიაში გამოდიან, ანუ, ერთმანეთის კონკურენტები არიან ტატამზე. აი, შარშანდელ დეკემბერში შიდასაქვეყნო ჩემპიონატში მათი გზები ფინალურ ეტაპზე გადაიკვეთა. დიდი ძმა ადრე იყო ჩემპიონი, ახლა პატარას ჯერი იყო. ეს ნიშნავს, რომ უფროსი ჯერაც არ თმობს საკუთარ პოზიციას. მან თითქმის 11-წლიან აქტიურ საჭიდაო კარიერაში უამრავი ჯილდო და ტიტული ირგუნა, ერთი ეგაა, ოლიმპიური მედალი დაურჩა მიუწვდომელი. კარგი ისაა, რომ ნაკრებში მის

წონაში ერთ-ერთ შემცვლელად უმცროსი ძმა მოიაზრება. ისინი ახლა მშობლიურ სოფელში იმყოფებიან. ამ დღეებში რამდენჯერმე გამოჩნდნენ კასპის საჭიდაო დარბაზში. ერთმანეთში სპარინგობდნენ და სპორტული ფორმის შესანარჩუნებლად ოფლს კვლავინდებურად ღვრიდნენ. მათზე თვალ-ყურის მიდევნება დიდი სტიმული და კარგი გაკვეთილია ასეთ დროს დარბაზში მყოფი ახალბედა მოჭიდავეებისათვის.

რა არის ახალი ჩემპიონი ძმების ცხოვრებაში? მოვუსმინოთ მათ:

ამირანი: – ასაკს არ ვეპუები, საჭიდაო კიმანოს ჯერ არ ვიხდი, საკუთარი გამოცდილება დიდად მეხმარება. ყველაზე მეტად ჩემი თავისა მჯერა, იმისთვის ვემზადები, რომ უახლოეს წლებში ნაკრების თავკაცობის მხრიდან საამისო შესაძლებლობა თუკი მომეცემა, ხუთიოდე დიდ შეჯიბრებაში კიდევ გამოვიდე. მერე ვნახოთ, რა და როგორ იქნება. ალბათ, ძიუდოს გარეშე ვერ გავძლებ და ისევ სპორტში დავრჩები. გადაწყვეტითა და დაკონკრეტებით ახლა თვითონაც არ ვიცი. სოფელში ვარ და შვილებთან ერთად, ოჯახის წევრების გარემოში, ვისვენებ, რასაც აქამდე ვერ ვახერხებდი.

ჯაბა: – ჩემს ცხოვრებაში წლევანდელი ზაფხული ყველაზე სამახსოვრო პერიოდად დარჩება. საქმე ის გახლავთ, რომ ახლახან დავოჯახდი. ჩემი თანამგზავრია მაკა გულიაშვილი – კასპსა და მთელ საქართველოში ცნობილი საჭიდაო დინასტიური გვარის ოჯახიშვილი.

ვულოცავთ ახალდაქორწინებულებს და ულევ ბედნიერებას ვუსურვებთ!

პანდემპერიოდის უპანდემიო შეკრება ბორჯომის ხეობაში

აგვისტოს დასაწყისში თავის შეგირდებს ბორჯომის ხეობაში ერთკვირიანი საწვრთნელი შეკრება მოუწყო ოთარ თოიძემ – სპორტკომპლექსის სერტიფიცირებულმა მწვრთნელმა კიკბოქსინგსა და კრივში.

თითქოს არაფერი, აბა, რა არის განსაკუთრებული რიგით ღონისძიებაში, რომლის მსგავსს სპორტსმენები და მათი მწვრთნელები დიდი შეჯიბრებების წინ მართავენ ხოლმე. მაგრამ, არა! ნუ დავივიწყებთ, რომ საყოველთაო პანდემიური ვითარების გამო გარკვეული შეზღუდვები კვლავ მოქმედებს.

ჩვენი ოთარი სწორედ რომ მონდომებული, ენთუზიაზმით აღსავსე ახალგაზრდა მწვრთნელია.

საკმარისია ითქვას, რომ სოფელ ახალქალაქსა და კასპშიც საკუთარი ინიციატივით მოახერხა სავარჯიშო დარბაზების მოწყობა და მოკლე პერიოდში უკვე გამოზარდა ევროპის პირველობებისა და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული კიკბოქსინგელები.

... საერთო პანდემიური უქმობის გამო ოთარმა მხრები როდი ჩამოუშვა, შეგირდების მშობელთა ერთ ჯგუფს გაესაუბრა, მათი მხარდაჭერა მიიღო და, საბოლოოდ, ბორჯომის ხეობაში იახლა რამდენიმე წარმატებული და პერსპექტიული მოწაფე: ლუკა ბარნოვი, ნიკა ბერიანიძე, ლევან სულთანიშვილი, გიორგი პეტრიაშვილი...

ენთუზიასტმა მწვრთნელმა შეკრების ყოველი დღე მაქსიმალურად გამოიყენა, სავარჯიშო-საწვრთნელი მეცადინეობების გრაფიკი იმგვარად შეადგინა, რომ მოზარდი სპორტსმენები არც ფიზიკური დატვირთვით გადაეღალა და არც რაიმე დაეკლო: აქეთ – სირბილ-კროსები სხვადასხვა მანძილზე, იქით – ურთიერთსპარინგული შეხვედრები და "ლაპები", ცალკე – სხვადასხვა ხასიათის ძალისმიერი ვარჯიში. ისინი ყოველდღიურ "ცოცხალ ფიზიკას" თითქმის 5 საათს ანდომებდნენ.

ერთი ფოტოს ისტორიისათვის

გასული საუკუნის მიწურულს, 80-იანი წლების შუაში, რკონის ხეობაში სოფელ გოსტიბის აღორძინება გადაწყდა.

ქართული ბუნების დიდმა მესაიდუმლემ და ქომაგმა, აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა იმჟამინდელი რესპუბლიკის თავკაცობა დაარწმუნა, რომ ეს იქნებოდა საშვილიშვილო საქმე. თქმა და ქმნა ერთი იყო. მაშინ ფართო მასშტაბით აღინიშნა სახალხო დღესასწაული "გოსტიბეობა". ძველი სოფლის ახალი ზეიმი, ცხადია, სპორტული პროგრამითაც დამშვენდა, კერძოდ, "გოსტიბეობა – 85"-ზე ქართულ ჭიდაობაში რაიონის სოფლების ნაკრებმა გუნდებმა იასპარეზეს – ფრიად საპატიო ჯილდოს – გიორგი სააკაძის სახელობის თასის მოსაპოვებლად.



ახლა, ზუსტად 35 წლის შემდეგ, გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ აღნიშნული შეჯიბრების გამარჯვებული გუნდის – სოფელ ყარაღაჯის (დღევანდელი თელიანის) ნაკრების – დაჯილდოების მომენტის ფოტოსურათს.

სურათზე: "გოსტიბეობა – 85"-ის ჩემპიონები – ყარაღაჯელი მოჭიდავეები. კასპის ფიზკულტურისა და სპორტკომიტეტის თავმჯდომარის, ავთანდილ ჯალალის ხელიდან გიორგი სააკაძის სახელობის თასს იბარებენ სოფლის თავკაცი იაგო დემეტრაშვილი და ვეტერანი მოჭიდავე სულხან ბახტაძე.



სოფელ ზემო ხანდაკში ახალი სპორტული არენა იქნება

თბილისელმა სპორტულმა ჟურნალისტმა და ჭიდაობის ტელეკომენტატორმა თამაზ გოგიბედაშვილმა, რომელიც წარმოშობით ჩვენი რაიონიდანაა, ახლახან სოციალურ ქსელში დააანონსა, რომ სოფელ ზემო ხანდაკში ახალი საჭიდაო არენა აიგება. ბარაქალა მათ, ვინც ესოდენ კეთილ საქმეს თავი მოაბა. იქაური საჭიდაო ტრადიციების აქნობამდე მომტანი და დღესაც სულშემბერავი ენთუზიასტები, ვეტერანი თუ ახალგაზრდა მოჭიდავეების თაობები, გულშემატკივრები ეროვნული ჭიდაობისა, ნამდვილად იმსახურებენ დღევანდელობისათვის შესაფერის საჭიდაო კერას.

ვიმედოვნებთ, ზემოხანდაკელი სპორტული მაცნეები, ვინც კეთილი საქმე წამოიწყო, სოფელში საჭიდაო არენის საძირკვლის გაჭრასაც და გასრულება-გახსნასაც გვახარებენ.

(პ. ს. : ეს ამბავი რადგანაც აგვისტოში გვეუწყა, აქვე ბარემ ასეთებიც გავიხსენოთ:

– ქ. კასპში ამჟამად მოქმედი "მრგვალი საჭიდაო დარბაზის" მშვენიერი ნაგებობა მწყობრში ჩადგა ზუსტად 62 წლის წინ – 1958 წლის აგვისტოში;

– სოფ. კავთისხევში "ვალიკო იაშვილის სახელობის საჭიდაო არენა" გაიხსნა 6 წლის წინ – 2014 წლის აგვისტოში).

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

თვნვმეღრეთვე გმირობიგ მვგვლითი

როცა 17 შინდისელი გმირიდან ერთ-ერთი - მიხეილ დვალიშვილი სახლში მიასვენეს, მისმა მშობლებმა, შვილის სხვა პირად ნივთებთან ერთად, მის ჯიბეში ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილი პატარა ლექსი იპოვეს..

...

სოფელ შინდისის მაცხოვრებლები ჰყვებიან: ასეთი რამ ფილმებშიც არ გვინახავს, ჩვიდმეტიდან ერთადერთი საღ-სალამათი ჯარისკაცი, რომელსაც შეუძლია გაქცევა, მუხლებზე დასვენებული დაჭრილი თანამებრძოლის თავს გულში იხუტებს, ჯიბიდან მობილურ ტელეფონს იღებს და სადღაც რეკავს.. მიპასუხე, მამაო, ღმერთო, არ გადის ეს დალოცვილი ზარი - ისმის ტკივილით ნათქვამი სიტყვები. მერე მობილურს მოისვრის და დაჭრილ ბიჭებს გასძახებს, ჩემკენ მოიწიეთ, მტერს ცოცხალი არ უნდა ჩავბარდეთ, ლიმონკა მაქვს და თავს ავიფეთქებთ. ეს თვითმკვლელობა არ იქნება. მე ვილოცებ, თქვენ თუნდაც გულში გაიმეორეთო და ბრძოლის ველზე ანგელოზის გალობასავით გაისმის "მამაო ჩვენო".

ლოცვის დასრულების შემდეგ მცირე პაუზა იყო და უცებ ყველაფერი წამებში მოხდა, აფეთქებამ ანგელოზის ხმაც წაშალა და ისიც, ვისი ყელიდანაც ის ხმა ამოდიოდა. აღარც ის დაჭრილი ჩანდა, მეგობრის მუხლებზე რომ ედო თავი. ჯარისკაცმა ალეკო ონიანმა თავი აიფეთქა და მასთან ერთად დაიღუპა გულში ჩახუტებული ნათლულიც - რომან ზოიძე. გამუდმებით ეხვეწებოდა ნათლული ნათლიას, ეს არ ქნა, წადი, მე მაინც არაფერი მეშველება და ჩემი სულისთვის ილოცეო. არა - უპასუხა ალეკომ..

ალეკო მობილური ტელეფონით მოძღვართან დარეკვას ცდილობდა, სურდა, საკუთარი თავისა და თანამებრძოლების შენდობა ეთხოვა...

ასე გალობითა და ლოცვით გადავიდნენ იმიერ საქართველოში ეს ბიჭები, ჩვენ კი ვაჟკაცობის საოცარი მაგალითი დაგვიტოვეს..

შინდისელები იხსენებენ, რომ მოწინააღმდეგის ვაჟკაცობით გაოგნებულმა მტერმა, დახოცილების ნივთებს ხელი არ ახლო..

ახლა ეს ნივთები მემორიალის საკუთრებაა..

ერთ-ერთი გმირის, მიშიკო დვალიშვილის ცხედარი შინ რომ მიასვენეს, მას ყველაფერი თან ჰქონდა - იარაღიც, ჯავშანჟილეტიც და მობილური ტელეფონიც და ჯიბეში, ქაღალდის ნაგლეჯზე დაწერილი ლექსი, სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე რომ დაწერა -

"ჩვენ ვართ კაცები, არ ვართ ლაჩრები, გულისკაცები და ვაჟკაცები..
ერთი ყუმბარა გვერდით თან გვიდევს, სიკვდილის შიში ვერ აგვატირებს.
ბევრი ვიყავით, ერთი სამარე თხილის გულივით გავინაწილეთ.."

ის ლექსებს წერდა და სიგიჟემდე უყვარდა საქართველო.

მთავრობა მოქალაქეებს კომუნალურ გადასახადებს ნოემბრის, დეკემბრის, იანვრისა და თებერვლის თვეში აუნაზღაურებს

მთავრობა საქართველოს მოქალაქეებს კომუნალურ გადასახადებს ნოემბრის, დეკემბრის, იანვრისა და თებერვლის თვეში აუნაზღაურებს. შესაბამისი განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე გააკეთა.

იმისთვის, რომ ჩვენი მოქალაქეების ოჯახების შემოსავლების კლება, ან სამუშაო ადგილების დაკარგვა დაკომპენსირო თ, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება კომუნალური გადასახადების მხარდაჭერის თვალსაზრისით. ეს პროგრამა გაგრძელდეს ზამთრის 4 თვის განმავლობაში. ეს იქნება ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი და თებერვალი. იგივე პრინციპით როგორც აქამდე იყო - 200 კილოვატ საათი ელექტროენერგიის და 200 კუბური მეტრი გაზის მოხმარება იქნება მთავრობის მიერ კომპენსირებული. ჩვენს შედარებით შეძლებულ მოქალაქეებს ექნებათ პროგრამულად შესაძლებლობა ასეთ დახმარებაზე თქვან უარი, - განაცხადა გახარიამ.

სასწავლო წლის დაწყებისას, 17 წლის ჩათვლით მოქალაქეები 200-ლარიან დახმარებას მიიღებენ

საქართველოს ყველა მოქალაქე, 17 წლის ჩათვლით ბავშვი, სახელმწიფოს მხრიდან მიიღებს 200 ლარ დახმარებას ერთჯერადად და ეს დახმარება განხორციელდება კრიზისში ჩვენი ბავშვების სოციალური მხარდაჭერის ფარგლებში, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ.

ცნობილია თარიღი, როდის შეძლებენ 17 წლამდე ბავშვები 200 ლარიანი დახმარების მიღებას.

15 აგვისტოდან 200 ლარიან დახმარებას ბავშვები, სპეციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციის გავლის შემდეგ მიიღებენ - ამის შესახებ ქრონიკის ეთერში ჯანდაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ განაცხადა.

ჩვენი მოქალაქეების დარეგისტრირების შემდეგ, რა თქმა უნდა, მოხდება უკუკავშირი თითოეულ ოჯახთან და მერე უკვე დეტალური ინფორმაციის მოძიებისა და შეგროვების შედეგად მოხდება პირველიდან 15 სექტემბრამდე ბავშვის მშობლებისთვის თანხების გადარიცხვა.

მინისტრის თქმით, თუ მშობელმა არ შეავსო განაცხადი, ეს ნიშნავს, რომ კომპენსაციის მიღებაზე უარს ამბობს.

ცნობისთვის, მთავრობის მეთაურის განცხადებით, საქართველოს ბიუჯეტიდან 17 წლამდე მოქალაქეები წინასასკოლოდ ერთჯერადად 200 ლარს მიიღებენ. ამასთან 4 თვის განმავლობაში დაფინანსდება კომუნალური გადასახადები და სტატუსშეჩერებულ და სოციალურად დაუცველ სტუდენტებს ერთი სემესტრის თანხა დაუფინანსდებათ.

ორწლიანი საქმიანობის შეჯამება

უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე შიდა ქართლის რწმუნებულმა გიორგი ხოჯევანიშვილმა ორწლიანი საქმიანობა შეაჯამა.

გიორგი ხოჯევანიშვილმა აღნიშნა, რომ 2020 წელს 79,7 მილიონ ლარამდე ბიუჯეტი 597 პროექტზე გადანაწილდება, რომელიც მოიცავს, როგორც ინფრასტრუქტურულ, ისე დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების ხელშეწყობის, რეგიონში საგანმანათლებლო, სამედიცინო, სპორტული და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიმართულებებს. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა გარემოს დაცვის კუთხით განსახორციელებელ ღონისძიებებსაც. დაგეგმილია ატენისა და ძამას ხეობებისთვის დაცული ტერიტორიების სტატუსის მინიჭება.

გიორგი ხოჯევანიშვილმა ვრცლად ისაუბრა რეგიონში განხორციელებულ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, დევნილთა პირობების გაუმჯობესებასა და საოკუპაციო ხაზთან მცხოვრებთა ხელშეწყობაზე, სამედიცინო, საგანმანათლებლო და სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, სოფლის მეურნეობისა და სოფლის მხარდაჭერაზე, ტურიზმის განვითარებაზე, ისტორიული ძეგლებისა და მუზეუმების რეაბილიტაციაზე, ახალგაზრდული პროექტების დაფინანსებაზე, გარემოს დაცვასა და ეკოლოგიაზე. მიმოიხილა საერთაშორისო, არასამთავრობო და კერძო სექტორთან აქტიური თანამშრომლობის საკითხები.

შეხვედრაზე ხოჯევანიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისთვის დიდი პატივი იყო იმ რეგიონში მუშაობა, სადაც დაიბადა და გაიზარდა. აქედან გამომდინარე, საჭიროდ ჩათვალა, რეგიონში მცხოვრებ ადამიანებთან, პარტნიორებთან, სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან, საერთაშორისო და ბიზნეს სექტორთან გაემართა შემაჯამებელი შეხვედრა და მიეწოდებინა ინფორმაცია იმ პროექტების შესახებ, რომელიც შიდა ქართლში განხორციელდა.

განხორციელებული სამუშაოების პირნათლად შესრულებისათვის გიორგი ხოჯევანიშვილმა მადლობა მოახსენა თითოეულ ადამიანს, რომელიც ამ პროცესებში იყო ჩართული. აღნიშნა, რომ რეგიონში რჩება გამოწვევებიც, რომლებსაც ხელისუფლება აუცილებლად გაუმკლავდება.

შეუცნობელი

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მიუღებელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეცეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნახახი, ვლბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ ფაქტის ამსახველი ვიდეო, ფოტო მასალა და გაგვიმხილოთ საკუთარი ემოცია, შთაბეჭდილება. მასალის გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება ფართო აუდიტორიისათვის, მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით ,,შეუცნობელი.''

ყველა აუხსნელი მოვლენის უკან შეიძლება იმალებოდეს პასუხი ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე, ველოდებით თქვენს გამოხმაურებას.

გამოგვეხმაურეთ!

გილოცავთ!

მრავალი თაობის აღმზრდელსა და პედაგოგს, განათლების სფეროში ცნობილ, ჩინებულ ფილოლოგს გიული სოზიაშვილს სიხარულით ვულოცავთ დაბადების დღეს.

ქალბატონო გიული, გვეამაყები, ყველას გვიმედები, მუდამ მხნეობას გვმატებ, და გახსოვდეთ, რომ თქვენი დაუღალავი, უშრეტი ენერგია, შემართება ბევრისთვის სასიცოცხლოდ გადამდებია, და კიდევ, თქვენეული, თანდაყოლილი, მოყვასისათვის გაღებული სიკეთის კეთებისა და ხელგაშლილობის გასაოცარი უნარი შეუდარებელი მაგალითია... გისურვებთ დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, ჩვეულ ხალისს თქვენს დიდ, ლამაზ ოჯახთან ერთად.

ძალიან გვიყვარხართ, გვინდა რომ დიდხანს იყოთ ჩვენს გვერდით. ღმერთი გფარავდეთ!

ნანა მერიბაშვილი, რუსუდან ხიჭუაშვილი, მარინა როსებაშვილი.

გამოიწერეთ გაზეთი
„ახალი განთიადი“!

საერთაშორისო რეგულარულ ფრენებზე დაწესებული შეზღუდვები 30 სექტემბრამდე გახანგრძლივდა

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ცნობით, საერთაშორისო რეგულარული საჰაერო მიმოსვლის განხორციელებაზე დაწესებული შეზღუდვა გახანგრძლივდა და მოქმედებს 2020 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

სააგენტოს ცნობით, საერთაშორისო რეგულარული საჰაერო მიმოსვლის განხორციელებაზე დაწესებული შეზღუდვა არ ვრცელდება იმ პირდაპირ საერთაშორისო რეისებზე, რომლებიც სრულდება თბილისის საერთაშორისო აეროპორტსა და შემდეგ აეროპორტებს შორის: მიუნხენი (გერმანია); პარიზი (საფრანგეთი) და რიგა (ლატვია).

შესაბამისად, თუ საქართველოსა და ჩამოთვლილ ქვეყნებში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა არ გამწვავდება, რეგულარული რეისების შესრულება გაგრძელდება დადგენილი განრიგის შესაბამისად.

სხვა მიმართულებებით რეგულარული საჰაერო მიმოსვლის ეტაპობრივი აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნება ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით.

გამომდინარე იქედან, რომ კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში ავიაციის სექტორისთვის ვითარება რთულად პროგნოზირებადია და გლობალურ დონეზე, პერიოდულად იცვლება გადაწყვეტილებები სასაზღვრო და სამგზავრო შეზღუდვებთან დაკავშირებით, მოქალაქეებს და მგზავრებს კვლავ მოვუწოდებთ, თავი შეიკავონ დაუდასტურებელ მიმართულებებზე/რეისებზე ბილეთების შეძენისაგან, აღნიშნულია სააგენტოს განცხადებაში.

კასპის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი მეზურნიშვილმა პირველ საფეხბურთო შეხვედრასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კასპის გუნდმა ჩაატარა პირველი ოფიციალური მატჩი საკუთარ არენაზე.

- ძალიან მიხარია, რომ ჩვენი ყველას საერთო ოცნება ახდა და დღეს, ამ ულამაზესი სტადიონის ფონზე, თითოეული კასპელის გულში ნამდვილი სიხარულია...

კასპელ გულშემატკივრებს ძნელად დაავიწყდებათ ის მონდომება და შრომა, რაც ირაკლი მეზურნიშვილმა გასწია სტადიონის არსებობისათვის.

მადლობა ბატონო ირაკლი! იმედია, თქვენი მზრუნველი ხელი არ მოაკლდება კასპს სადაც არ უნდა მოღვაწეობდეთ!

ახალი სტადიონი – ახალი გუნდითა და იმედებით!

შარშანდელი ნოემბრიდან კასპში ახალი სტადიონი გვაქვს.

ახლა ადგილობრივი გუნდის შექმნის ჯერია. მისი ბირთვი უკვე გამოკვეთილია. მან არსებობის გზასავალზე, მართალია, პირველივე ოფიციალური მატჩი წააგო, მაგრამ მხარდამჭერებსა და გულშემატკივრებს გვჯერა, მალე იპოვის თავის სათამაშო ხარისხობრივ დონეს.

მთავარია, რომ დავიწყეთ და 21-ე საუკუნის მიწურული ოცწლეულის ბოლოს ისევ გამოვჩნდით საქართველოს საფეხბურთო რუკაზე. არადა, ლეხურისპირა პატარა ქალაქში როდის დაედო სათავე ბურთგორაობას: ახალი გუნდის ახალი სახელწოდება ესოდენ დიდ ისტორიასაც შეგვახსენებს – მას ჰქვია "კასპი – 1936"!

დიახ, 2020 წლის 19 აგვისტოს ადგილობრივმა "კასპი – 1936"-მა პირველი მატჩი გამართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მე-5 ლიგის 14-გუნდიან ჯგუფში. ახალი გათამაშება ფორსირებულად და შეზღუდულად განახლდა, საყოველთაოდ ცნობილი "კოვიდ – 19"-ის პანდემვითარების გამო. ასე რომ არა, ბურთი კასპის სტადიონზე ჯერაც მარტში გაგორდებოდა. ისე, სეზონის საერთოდ ჩაშლას თუნდაც დაგვიანებით დაწყება გვერჩივნოს.

საფერისცვალებო კალენდარულ დღეს თბილისის "იბერიასთან" არც 3-ბურთიანი "მშრალი" ანგარიშით მარცხია კატასტროფა, ეს უფრო გაზრდის ამბიციურ და იმედიან განწყობას გუნდის ახალგაზრდულ შემადგენლობაში, მოვა საჭირო გუნდური

გამოცდილება, მოიმატებს ფიზიკური კონდიცია, მწვრთნელთა კვალიფიკაცია. იმისიც გვჯერა, რომ "კასპი – 36"-ს მხარდამჭერაც მეტი ექნება საერთო და მრავალმხრივი თვალსაზრისით.

და, ერთიც, ადგილობრივი გაზეთი "ახალი განთიადი", როგორც ათწლეულებით ადრე, კვლავაც იქნება კასპელი ფეხბურთელების გამარჯვება-მოგებათა მაუწყებელი.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი
ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი:
2600 ქ. კასპი
სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76